ცნობის ფურცელი

№ 2203 სამშაბათი, 8 ივლისი 1896—1903 ყოველ-დღიური გაზეთი № 2203

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ერთსვეტიანი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. კამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

3 მან. და 50 კ. ღირს ყოველდღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი"

კვირაში ორის სურათებიანის დამატებით 1 ივლისიდან წლის დამლევამდე

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. პალლიზენ

რჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. ბაქო, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—94)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 11—1 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და შაბათობით, 11—12 საათამდე.

ზრ. ვ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

სამკურნალოს აქვს ოთხი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოატები—სამი მანათიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან კი 34 ნ.

(წდ.) ტელეფონი № 274

რადგან კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

1 ივლისიდან 10 აგვისტომდე სოფლად იქმნება, ავადმყოფების მიღება ტფილისში ამ დრომდე შეწყვეტილი იქმნება. (5—3)

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ბანკის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 612

ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებელი აცხადებს, რომ მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის 40 თავისუფალი ვაკანსიაა პირველ განყოფილებაში, სადაც მიიღებიან შვიდისა და რვა წლის ყმაწვილები. დანარჩენ განყოფილებებსა და პროგიმნაზიულ კლასებში თავისუფალი ადგილი სრულიად არ მოიპოება.

თხოვნების მიღება გაგრძელდება ოცდახუთ მარიამობისთვემდე. თხოვნასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას წლოვანების, თავად-აზნაურობისა და ყვავილის აცრის მოწმობანი. ყმაწვილების მიღება დანიშნულია 27 აგვისტოსთვის. ხელმეორედ გამოცდა, რომელიც მაისში დაენიშნა მოსწავლეებს, მოხდება 25 და 26 აგვისტოს.

სწავლა დაიწყება 1 ენკენისთვეს. (3—უ—3)

დოქტორი მედიცინისა

ვ. ი. ინაშვილი

მიიღებს შინაგან, ნერვებით და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს. დილით 10—12 საათ., საღ. 5—7 საათ.

რეუტოვის ქუჩა, № 6. (10—124—1)

საზღვარ-გარედ

ინგლისი. ჩემბერლენმა ადრევე გამოაცხადა, პარლამენტის დათხოვნის შემდეგ დიდ აგიტაციას გავმართავ და ბევრგან საფინანსო რეფორმაზე სიტყვას წარმოვსთქვამო. ეხლა გაზეთები იუწყებიან, ჩემბერლენი სექტემბრის დამლევს დაიწყებს აგიტაციასაო. პირველად გლასგოში ილაპარაკებს და მერე ნიუკესტლშიო.

◆ როგორც ვიცით, საფინანსო პოლიტიკის თაობაზე დიდი უთანხმოება ჩამოვარდა სამინისტროში: ჩემბერლენი და იმისი მომხრეები ეხლანდელ საფინანსო წესების გამოცვლას თხოულობენ, ზოგნი კი ეხლანდელ წესებს, ე. ი. თავისუფალ ვაჭრობას იცავენ. „დაილი ნიუს"-ი სწერს: „მეტად უმაღლესი წრეები" ცდილობენ, პროტექციონიზმისა და თავისუფალ ვაჭრობის მომხრეები მოარიგონ. ესენი პირობად სდებენ, რომ ჩემბერლენმა თავისი პროექტი გამოსცვალოს და ისე ბეჯითად ნუღარ თხოულობს პროტექციონიზმის შემოღებასაო. დასთანხმდება თუ არა ჩემბერლენი ამნაირ პირობას, ეს არავინ იცის, მაგრამ შეიძლება კიდეც დასთანხმდეს, რადგან თვით უნიონისტების პარტიას არ მოსწონს ჩემბერლენის პროექტი.

◆ ირლანდიის საადგილ მამულო კანონპროექტს ამ დღეებში დეპუტატთა პალატას წარუდგენენ მესამედ წასაკითხად. ბილის განხილვას ძლიერ დააჩქარებენ, რომ ლორდთა პალატასაც დროზე გადასცენ. მთავრობას უნდა, რომ ეს ბილი სესიის დახურვამდე დამტკიცდეს, ე. ი. 1 აგვისტომდე (ახ. სტ. 14 აგვისტომდე). ამბობენ, ლორდთა პალატაც უსათუოდ დაამტკიცებს ამ ბილსაო.

◆ „სტანდარდ"-ი იუწყება: მთავრობა ამ დღეებში კანონ-პროექტს წარადგენს იმის თაობაზე, რომ მუშებისთვის იაფი და სალი სადგომები გაიმართოსო.

საფრანგეთი. „ეკლერ"-მა, „ფიგარო"-მ და სხვა გაზეთებმა ხმა გაავრცელეს, ვითომ ლუბეს მოგზაურობის დროს ლონდონში მნიშვნელოვან პოლიტიკურ საქმეებზე ჰქონდათ ლაპარაკი და იქნება ინგლისმა და საფრანგეთმა კავშირიც შეჰკრანო. „მატენ"-ის ლონდონელი კორესპონდენტი იწერება: ეს ცნობა დასაჯერი არაა; ინგლისსა და საფრანგეთსა არც შეუკრავთ და არც აპირობენ კავშირის შეკვრასაო.

◆ პირველმა მინისტრმა კომბმა ამას წინად განკარგულება მოახდინა დახურულ კონგრეგაციების სალოცავი ნიშები დაიკეტოსო. ეხლა კომბს ამავე საგნის თაობაზე ცირკულიარი გაუგზავნია პრეფექტებისათვის. პირველი მინისტრი სამ ჯგუფადა ჰყოფს ყველა კონგრეგაციებს: 1) დახურულ კონგრეგაციების ნიშები ყველა უნდა დაიკეტოს; 2) ნიშები სკოლებსა და საავადმყოფოებთან; ესენი არ დაიხურება, მაგრამ გარეშე საზოგადოებას კი არ უნდა უშვებდნენ ამ ნიშებში; 3) კერძო ნიშებს უფლება აქვთ წინადებურად იმოქმედონ, მხოლოდ იმ პირობით, თუ რიმელსამე სამრევლო ეკლესიას მიეწერებიან.

◆ საბიუჯეტო კომისიამ დაადგინა, 1904 წლისათვის სარწმუნოებათა ბიუჯეტი დარჩესო. კომისიის უმეტესობა იმ აზრისაა, რომ ეკლესიის სახელმწიფოსაგან განცალკევება ჯერ-ჯერობით არ შეიძლებაო.

იტალია. ზოგი იმ აზრისაა, ვითომ კათოლიკე სარწმუნოების სახელმწიფოებს, მაგალითად, ავსტრიას, იტალიას, საფრანგეთს, უფლება ჰქონდეთ ახლად არჩეული პაპი არ დაამტკიცონ და სხვა კანდიდატის არჩევა მოითხოვონ. გაზეთები სწერენ: პაპები არას დროს არ ეთანხმებოდნენ ამნაირ აზრს, პირიქით, ყოველთვის ამტკიცებდნენ, რომ პაპის არჩევა მხოლოდ კარდინალების ხელშია და სხვას არავის არა აქვს უფლება ამ საქმეში გაერიოსო. ამბობენ, წინად ბევრჯელ მომხდარა, რომ სახელმწიფოები პაპის არჩევანში ერეოდნენო, მაგრამ ამ ამბავს საბუთის ძალა არა აქვს. მართალია, ავსტრია 1823, 1830 და 1846 წ. წ. პაპის არჩევის დროს პროტესტს აცხადებდა და ზოგიერთ კანდიდატს არ იწონებდა, მაგრამ მაინც არც ერთხელ არ მომხდარა, რომ პაპად ავსტრიისაგან მოწონებული კანდიდატი აერჩიოთ, პირიქით 1830 წელს კარდინალი კაპილარი პირდაპირ ავსტრიის ჯიბრზე აირჩიეს პაპად.

ავსტრო-უნგრეთი. უნგრეთის უკიდურეს პარტიის მეთაურმა ბარაბაშმა 29 ივნისს გროსვარდეინში ამომრჩეველთა კრება მოახდინა და თავის საპარლამენტო მოღვაწეობის ანგარიში წარუდგინა. კრებას 15 ათასზე მეტი ამომრჩეველი დაესწრო. ბარაბაშმა თავის მოღვაწეობის ანგარიში წარუდგინა კრებას და ბოლოს სთქვა: თუ ამომრჩევლებს არ მოსწონთ ჩემი ქცევა, ხელს ავიღებ სამინისტროსთან ბრძოლაზეო. დამოუკიდებლობის პარტიის წევრთ უნდოდათ კრების სახელით ნდობა გამოეცხადებინათ ბარაბაშისათვის, მაგრამ ლიბერალებმა წინააღმდეგობა გასწიეს და კრება დიდი შფოთით დასრულდა. პოლიციამ კრების დახურვა მოინდომა, მაგრამ ხალხმა ქვა დაუშინა პოლიციას; ჯარი მოიწვიეს და კრება ძალით დაშალეს. დამსწრეთაგან ბევრი დასჭრეს და ბევრიც დაატუსაღეს. რადგან გროსვარდეინში ხალხი ძლიერ აღელვებულია, უმთავრეს ქუჩებში ჯარია დაყენებული.

◆ უნგრეთის სეიმის დეპუტატი გოკი ლიბერალურ პარტიიდან გავიდა და გამოაცხადა, ამას იქით სამხედრო საქმეებში დამოუკიდებლობის პარტიას მივეკედლებიო. გოკს უთქვამს, უნგრეთს თავისთვის ცალკე ჯარი უნდა ჰყავდესო; აქამდე უნგრები ყოველთვის გერმანელებს ემხრობოდნენ და სლავიანებს ებრძოდნენ; ეხლა კი, თუ უნგრეთის მოთხოვნილებას არ შეასრულებენ, იძულებული ვიქნებით, სლავიანებს მივემხროთ; სამინისტრო მოვალეა, ეს ამბავი იმპერატორს აცნობოსო.

◆ ხორვატიის შეერთებული ოპოზიცია 15 აგვისტოს ყველა 80 საარჩევანო ოლქში სახალხო კრებას მოახდენს; ამ კრებაზე ხალხმა უნდა გამოსთქვას, თუ როგორ უყურებს ახალ მთავრობას, და დელეგატები აარჩიოს ხორვატების ეროვნულ კრებაზე გასაგზავნად. ეს ეროვნული კრება სექტემბერში მოხდება ქალ. ზაგრებში.

◆ ხორვატები ჩამომავლობით, თუ ენით წმინდა სერბები არიან; ამათა და სერბებ შუა ის განსხვავებაა, რომ ესენი კათოლიკე სარწმუნოებისანი არიან, სერბები კი მართლმადიდებელისა. აქამდე სხვა-და სხვა მიზეზისა გამო, უფრო კი სამღვდელოებისა და მთავრობის მზაკვრულ პოლიტიკის წყალობით, ხორვატები და ხორვატიაში მცხოვრები სერბები ძლიერ გადაკიდებულები იყვნენ. წარსულ შემოდგომაზე ხომ ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში და ზოგიერთ სხვა ქალაქებშიაც ხორვატები მეტად საზიზღრად მოექცნენ სერბებს; რაღაც უბრალო საქმე მოამიზეზეს, სერბებს დაერივნენ, ბევრი მოჰკლეს, ბევრი დასჭრეს და სახლები და ქონება გაუოხრეს. ეხლა გაზეთები იუწყებიან, ხორვატები ჭკუაზე მოვიდნენ და სერბებთან მორიგებასა და შეერთებას აპირებენო. ჩეხური გაზ. „პოლიტიკ"-ი სწერს: „ამ დღეებში ქალ. ზაგრებში ხორვატ-სერბების ეროვნული საბჭო დააწესეს, ამ საბჭომ ხორვატებისა და სერბების ყველა საერთო საქმეები უნდა განაგოსო". უნგრეთში ძლიერ ცუდის თვალით შეჰხედეს თურმე ამ შეერთებას, მაგრამ მაინც ვერ დაუშლიან, რადგან ხორვატები და სერბები კანონის ძალით მოქმედებენ.

სერბია. გერმანულ გაზეთებს თუ დაუჯერებთ, სერბიის ახალი მეფე დიდ გაჭირვებაში ჩავარდნილა. გერმანული გაზეთები სწერენ:

„სერბიის ჯარი ორ ბანაკადაა გაყოფილი. ერთს ბანაკს ისინი შეადგენენ, ვისაც 29 მაისის ამბებში მონაწილეობა არ მიუღიათ, მეორეს—ისინი, ვინც ან პირდაპირ, ან სხვანაირად მონაწილეობა მიიღეს ბელგრადის ტრაგედიაში. პირველი ბანაკი წინანდებურად დისციპლინის წესებს ემორჩილება, მეორე-კი დამოუკიდებლად იქცევა და სამხედრო მინისტრს არაფერში არ ემორჩილება. მეორე ბანაკმა ჯარის მარცხენა პარტიის სახელი დაირქვა. ორიოდე დღის წინად სამხედრო მინისტრმა ათანაცკოვიჩმა წინადადება მისცა მეფეს, ბელგრადის ჯარის ნაწილი პროვინციაში გავიყვანოთო. აფიცრებმა სთხოვეს მეფის ადიუტანტს პოლკოვნიკ პაპოვიჩს და პოდპოლკოვნიკ მიშიჩს, მეფესთან იშუამდგომლეთ, რომ სამხედრო მინისტრის განკარგულება გააუქმოსო. ათანაცკოვიჩმა, გაიგო თუ არა ეს ამბავი, მეფესა სთხოვა, სამსახურიდან გადამაყენეთო. მეფემ ათანაცკოვიჩი სამსახურიდან არ გადააყენა, მაგრამ არც აფიცრები გაჰგზავნა პროვინციაში. ეს ერთი ფაქტი. მეორე ფაქტი კიდევ მეფის ადიუტანტის არჩევის დროს მოხდა.

მეფეს უფლება აქვს, თავისი ამალა თითონ საკუთარის ნებით დააყენოს. ამ უფლების ძალით, მეფემ ჯერ კიდევ ჟენევაში თავის ადიუტანტად პოლკოვნიკი პაპოვიჩი დანიშნა და მხლებლად კაპიტანი კოსტიჩი და შტაბს-კაპიტანი გრუიჩი. ეს აფიცრებიც სამივე 29 მაისს მომხდარ მკვლელობაში ერივნენ თურმე. როცა მეფე ბელგრადში მოვიდა, მთავრობამ ურჩია, ეგ აფიცრები მოიშორეთ, ამალაში ნუ გყავთ, რადგან დიდ სახელმწიფოებს არ მოეწონებათ მაგ აფიცრების ამალაში ყოფნაო. მეფე თითქმის დასთანხმდა მინისტრებს, მაგრამ მერე გადაიფიქრა და სამივ აფიცერს თავ-თავის თანამდებობა დაუმტკიცა. მაშინ პირველმა მინისტრმაც ხმა ამოიღო. სამხედრო მინისტრმა მეფეს აფიცრების სია წარუდგინა და სთხოვა, ამათგან ამოირჩიეთ ადიუტანტებიო. მეფე დასთანხმდა, მაგრამ ეს ამბავი ჯარის „მარცხენა პარტიამ" გაიგო და გადაჭრით მოითხოვა ათანაცკოვიჩი სამსახურიდან გადადგესო. აი, ამიტომაა, რომ ხმა გავრცელდა, ათანაცკოვიჩი სამსახურიდან გადის და იმის მაგიერ გენერალი ჰუტნიკი ინიშნებაო".

გერმანული გაზეთები უმატებენ: თუმცა სერბიის მთავრობამ ოფიციალურად უარ-ჰყო, მაგრამ ეს ფაქტები მაინც უტყუარიაო. მეფე

ორ წყალ შუაა და აღარ იცის, როგორ მოიქცესო. მეფის ბიძაშვილი დოქტორ ნენადოვიჩიც სწორედ ამ საქმეზე მოსალაპარაკებლად წავიდა ვენასა და პეტერბურგშიო.

ახალი ამბავი

◆ გუშინ, 7 ივლისს, დილის 11 საათზე ტფილისში **შემდეგი უბედურება მოხდა:** პოლიციის მე-7 და მე-8 ნაწილების საზღვარზე, გონჩარნისა და ეკატერინის ქუჩების კუთხეში, ცაპინი აშენებს სახლს. საძირკვლისათვის მიწის ჩამოჭრა დასჭირებია და დაუყენებია მუშები. სამის დღის წინად მუშაობის დროს კინაღამ ორი მუშა მოუტანია ქვეშ გადმონგრეულ მიწას. ამის მიუხედავად, გუშინ, ცაპინის ბრძანებით, მაინც წინანდებურად შესდგომიან მუშაობას. დაუყენებიათ 8 მუშა და უთქვამთ, მიწის თხრის გასაიაფებლად გორისათვის ძირი გამოეთხარათ, რომ გორა თითონ გადმონგრეულიყო. სწორედ ასეც მომხდარა: 11 საათზე უშველებელი ზვავი გადმონგრეულა და ქვეშ მოუტანია შვიდი მუშა, მერვეს კი მოუსწრია გაქცევა. საჩქაროდ მიუწვევიათ ცეცხლის მქრობი რაზმი, რომელსაც გაუთხრია გადმონგრეული ზვავი და ამოუღიათ ხუთი მუშა უკვე მკვდარი და ორიც ცოცხალ-მკვდარი. ყველანი საშინლად დასახიჩრებულნი არიან.

◆ **ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობა** აცხადებს, რომ 4 ივლისიდან პასუხს არ ვაგებ მისაღებ საქონლის დაგვიანებისათვის, რადგან აჯიქაბულ-ბაქოსა და ბაქო-სურახანის სადგურებ შორის მატარებელთა მიმოსვლა დროებით შეჩერებულიაო. ამიერ-კავკასიის გზა არც რუსეთიდან გამოგზავნილ საქონელს იღებს კავკავის გზისაგან.

◆ ამ დღეებში ტფილისის **კონდიტრების** შეგირდებმა გამოუცხადეს სახელოსნო გამგეობას, რომ პატრონები მეტად გვავიწროვებენ, არც საჭმელს და არც ტანისამოსს არ გვაძლევენ, თუმცა, პირობის ძალით, ვალდებულნი არიანო. შეგირდებმა სთხოვეს ხელოსანთა მოურავს, დააწესოს, რომ შეგირდებს ყოველ დღე ეძლეოდეთ ფული საჭმლისა და ტანისამოსისათვის.

◆ წელს, როგორც „პრავ. ვესტ.“-შია გამოცხადებული, **ჯარის კაცად გაწვეული** იქმნება ქუთაისის გუბერნიიდან—3074 კაცი, ტფილისისა ზაქათალის ოლქითურთ—2381 კაცი, შავის-ზღვის პირის გუბერნიიდან—114 კ., თერგის ოლქიდან—553 კაცი. აქედან 100 კაცი ოსი უნდა იყოს.

◆ მკითხველებს ეცოდინებათ, რომ მთელი **ქუთაისის გუბერნია** გაჭირვებულ მდგომარეობაშია საძოვარ(?)სათიბ ადგილების უქონლობისა გამო. ამ ბოლო დროს ბევრს განუზრახავს ხელი მიჰყოს საუკეთესო ბალახის თესვას, მაგრამ არ იციან, ბალახის თესლის გამოწერა საიდან შეიძლება. გუშინ ლანჩხუთის და ჩიბათის სოფლის საზოგადოების ზოგმა მცხოვრებელმა სთხოვა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, აცნობოს, სად შეუძლიანთ შეიძინონ ბალახის თესლი, რა ფასად ფუთი და რანაირად მოუარონ დათესვის დროს.

◆ თავის დროზე მოხსენებული გვქონდა, რომ სახელმწიფო საბჭომ არ შეიწყნარა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების თხოვნა იმის შესახებ, რომ გ. გ. **ადელხანოვს და დ. ზ. სარაჯიშვილს** უმაღლესი **ჯილდო** მიეცეთ. გუშინ მთავარ მართებლის კანცელარიამ აცნობა საზოგადოების საბჭოს, რომ ხელ-ახლა აღძრულ შუამდგომლობის გამო ფინანსთა მინისტრის ამხანაგმა შეატყობინა მთავარ-მართებელს, რომ ამ ჟამად ფინანსთა სამინისტროში განსახილველია საკითხი იმის შესახებ, თუ როგორის წესით და ან ვის რა დამსახურებისთვის უნდა ეძლეოდეს უფლება თავის ფირმაზე სახელმწიფო გერბის გამოხატვისა; ვიდრე ეს საკითხი საბოლოოდ არ გადასწყდება, სამეურნეო საზოგადოების შუამდგომლობა განხილული არ იქნებაო.

◆ მკითხველებს ეცოდინებათ, რომ არ სებობს განსაკუთრებული წესები საკლავ **საქონლის გადარეკვა-გადმორეკვის** შესახებ. ეხლა შინაგან საქმეთა სამინისტროს განუზრახავს ასეთი წესები ცხენებისათვის შეიმუშაოს, რომ რაიმე ჭირი არ გავრცელდეს. სამინისტროს დავალებით, ტფილისის გუბერნატორმა ცნობები მოსთხოვა მაზრის უფროსებსა და სამაზრო ბეითლებს იმის შესახებ, რომელ ადგილებშია გავრცელებული ცხენის ვაჭრობა, რა გადამდები ავადმყოფობა იცის ცხენმა და სხვა.

◆ ტფილისის მართლ-მადიდებელთა, სომეხ-გრიგორიანთა, კათოლიკეთა და სხვა სარწმუნოების ეკლესიების მღვდლებმა უკვე წარუდგინეს ქალაქის გამგეობას მეტრიკული ამოწერილობანი 1882 წლის 1 ოქტომბრიდან 1883 წლის 1 ოქტომბრამდე დაბადებულთა, რომელნიც შემოდგომაზედ **სამხედრო ბეგარაზე** იქმნებიან გაწვეულნი.

◆ როგორც გავიგეთ, გადაწყვეტილია ტფილისის **საფოსტო ინსპექტორიიდან** მცხეთაში გადაიტანონ სამაგნიტო სადგური. ამისთვის მიწათ-მოქმედების სამინისტრო 4 დესეტინა მიწას უთმობს.

◆ კვირას, 6 ივლისს, სოფელ ავჭალაში ადგილობრივ სამრევლო სკოლასთან გაიმართა **საკვირაო სკოლა** დიდებისთვის. სკოლაში სწავლის სურვილი განაცხადა 25 კაცამდე.

◆ არამიანცის მიერ შეწირულის ფულით **სასაფლაოსთვის**, როგორც ამბობენ, ნავთლუღში აარსებენ ქალაქის მიწაზე. ნუ თუ „ქალაქის მამები“ არა ჰფიქრობენ, რომ ნავთლუღში გამართული საავადმყოფო ბევრით ვერაფრით გამოადგება მცხოვრებთა უმრავლესობას?

◆ **ლანჩხუთში დაარსდა** მომრიგებელი სასამართლო. მოქმედება ამ სასამართლომ დაიწყო 1 ივლისს.

◆ გამოქვეყნებულ იქმნა დებულება მართვა-გამგეობის შესახებ **გაგრის საკურორტო სადგურში.** სადგური და მახლობლად მდებარე ადგილი, სულ 14 ათასი დესეტინა, ექვემდებარება პრინც ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურგსკის. პრინცმა უნდა დანიშნოს უფროსი.

◆ გუშინ **კვირაცხოვლისა და არსენალის** ქუჩის 45 მდე სახლის პატრონმა სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას, გააკეთოს იმათთვის წყლის სადენი დიდი არხი, ურომლისოდაც წვიმების დროს ხალხს დიდი ზარალი მოსდის ხოლმე. ამ განცხადებას ტფილისის ქალაქის გამგეობა ამ დღეებში განიხილავს.

◆ ხელმწიფე იმპერატორმა ნება დართო, სოხუმის ქალაქის საბჭოს შუამდგომლობის თანახმად, პრინცი ალექსანდრე პეტრეს ძე **ოლდენბურგსკი ჩაირიცხოს ქალაქ სოხუმის** საპატიო მოქალაქედ.

◆ ყაზახის მაზრაში, როგორც „კავ.“-ს ატყობინებენ, **სამი ყაჩაღი მოუკლავთ:** ამარასან-ზ ინალ-აბდინ-ოღლი, იმისი ძმა ტაივრიკული და ნაჯარ-მაშადი ალაჰ-ვერდიოღლი. ამ სამთ 9 ივლის მოჰკლეს მამასახლისის თანაშემწე უსუფი, ხოლო ამაზე წინად—შიხაირუის ერთი მცხოვრები.

◆ შავის-ზღვის პირის **საქარხნო ინსპექტორი** ინჟენერ-ტეხნოლოგი მალინოვსკი ვოლოგდის გუბერნიაში გადაიყვანეს.

◆ გუშინ, 7 ივლისს, **საეკლესიო მუზეუმი** დაათვალიერა კიევის სასულიერო აკადემიის რექტორმა ეპისკოპოსმა პლატონმა, რომელმაც დიდად მოიწონა ყოველივე ნახული, მეტადრე ტყავზე ნაწერი დასურათებული წიგნები. გამოთხოვებისას ეპისკოპოსმა მუზეუმის წიგნში ჩასწერა შემდეგი: „7 ივლისს კიევის აკადემიის რექტორი პლატონი ვიყავი ტფილისის მუზეუმში და დიდად გამაცვიფრა მრავალმა ხელნაწერმა, რომელიც ძვირფასია საეკლესიო ისტორიისა და ლიტურგიის მხრით და რომელიც უცნობია მეცნიერებისა და ქვეყნისათვის. ვსთხოვ ქართველ მოსწავლე ახალგაზდობას, ყურადღება მიაქციოს მუზეუმს, რომელიც სავსეა ძვირფასის საუნჯით. მადლობას იტყვის ყველა, ვისაც ძვირად უღირს ეკლესია და მისი ცხოვრება“.

◆ რედაქციამ მიიღო ახალი რუსული წიგნი: «Замѣтки деревенскаго практика о нуждахъ сельско-хозяйственной промышленности Кутаисской губерніи» კ. ი. ტიებოსი. ფასი 5 კაპ.

◆ **მკითხველებმა უკვე იციან, რომ ტფილისიდან გადაიყვანეს სხვაგან ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსი კლიუგენი. კვირას, 6 ივლისს, კლიუგენს თანამოსამსახურეებმა გამოსათხოვარი სადილი გაუმართეს.**

◆ **ამ დღეებში ტფილისის საიუნკრო სასწავლებლის უფროსმა სთხოვა ქალაქის გამგეობას დაუთმოს ქალაქის მიწიდან წყალი შეღავათიანს ფასით.**

◆ სოფელ დმანისიდან მომავალს ახკანაფის მცხოვრებელს ნიკო გიკაშვილს თავს დასცემიან დმანისის მცხოვრებნი ლექსო და კოლა ძ—შვილები, უცემიათ და ფულიც წაურთმევიათ. დამნაშავენი დააპატიმრეს.

◆ პოლიციის მე-5 ნაწილში რაჭის მაზრის მცხოვრებს იასონ ბაისაშვილს ჩხუბი მოსვლია ნიკოლოზ ხოჰაშუმიძესთან და დაუჭრია. დამნაშავე დააპატიმრეს.

◆ პოლიციის მე-7 ნაწილში, კახეთის მოედანზე, ბაგრატ ზეინალოვის სადალაქოში ყაზახის მაზრის მცხოვრებს ოჰანეზოვს რუსიშვილისთვის მოუპარავს 40 მან. ღირებული ვერცხლის ქამარი.

◆ ტფილისის მაზრის კოსტანტინოვის სოფლის საზოგადოებიდან გვატყობინებენ, რომ ამ სოფლის მცხოვრებს გიორგი ფშილიშვილს 13 წლის ყმაწვილს, ჩხუბის დროს, დიდი ქვა დაურტყამს თავში ამავე სოფლის მცხოვრებ ვასილ ხოჩევიჩისათვის და მძიმედ დაუშავებია. დაშავებული მიხეილის სამკურნალოში გამოუგზავნიათ.

◆ სადგურ არაქს-ყარაბურუნთან გზა გაუწმენდიად მხოლოდ 5 ივლისს და მატარებელთა მიმოსვლაც დაწყებულა.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ წელს ქუთათურ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის „კოლხიდა“-ს გამგეობას შეუძენია სულ 1500 ფუთი ნედლი პარკი; თითო ფუთი პარკი საშუალო რიცხვით დაჯდა თურმე 17 მან. 50 კაპეიკი. შარშან კი შეიძინა სულ 1300 ფუთი, თითო ფუთი საშუალო რიცხვით 14 მან. 60 კაპ. ამ რიგად წელს შარშანდელზე მეტი პარკი შეუძენია, თუმცა თითო ფუთი უფრო ძვირად კი დასჯდომია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ წლევანდელი პარკი შარშანდელზე ბევრად უკეთესია ღირსებით.

◆ ქალაქის გამგეობასა და ქიათურის შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს მოლაპარაკება აქვთ ქუთაისში საქიმიო ლაბორატორიის დაასების შესახებ. როგორც მკითხველებმა იციან, ლაბორატორიის დასაარსებელი და მოსაწყობი ფული ამ ორ დაწესებულებას უკვე აღმოჩენილი აქვს; ნებართვაც აღებულია. ეხლა უპირველესი საქმე ლაბორატორიისათვის შენობის შეძენაა. ამის შესახებ სამგვარი აზრია. ერთი—ეხლავე იყიდონ შენობა და მოაწყონ ლაბორატორიისათვის; მეორე—ორის წლის ვადით იქირაონ შენობა და დროებით მოათავსონ ლაბორატორია; მესამე აზრი კი ისაა, რომ ეხლავე შეიძინონ ადგილი და ლაბორატორიისთვის ახალ შენობის აგებას შეუდგნენ. ჩვენის ფიქრით, ყველაზედ უკეთესი ის იქმნება, რომ მეორე და მესამე აზრი შეერთდეს, ე. ი. ლაბორატორია დროებით ნაქირავებ შენობაში მოათავსონ, მაგრამ ამავე დროს იყიდონ ადგილი და შენობის აგებასაც ეხლავე შეუდგნენ. ძველის შენობის ყიდვა და გადაკეთებ-გადმოკეთება არ ივარგებს, რადგან ეს ხარჯს ბევრს გამოიწვევს და შენობა-კი ხეირიანი არ იქნება. ამას გარდა საჭიროა, ლაბორატორია ქალაქის შუაგულ ადგილას დაარსდეს, რომ სიახლოვის გამო ყველას შეეძლოს სარგებლობა.

რუსეთის ქრონიკა

◆ „პრავ. ვესტ.“-ში გამოქვეყნებულია ბრძანება ქარხნებში სტაროსტების დაწესების შესახებ. ჩვენ უკვე ვწერდით ამ სტაროსტების შესახებ. ქარხნისა და მთა-მადნის მუშებმა, ყველა დარგისამ ცალ ცალკე, უნდა აარჩიონ თავიანთ შორის კანდიდატები სტაროსტის თანამდებობაზე. ამ კანდიდატებს ამტკიცებს ქარხნის გამგეობა. კანდიდატებად არ უნდა აარჩიონ 25 წლისაზე ახალგაზდები. იმ ნაწილში, სადაც ამაზე უმცროსნი მსახურებენ, მუშებმა სტაროსტად შეუძლიანთ სხვა ნაწილის მოსამსახურე აარ-

ფელეტონი

კავკავის ამბავი

კავკავი, როგორც კარგი საცხოვრებელი ქალაქი.—უნაყოფო ინტელიგენცია.—კავკავის ქართველობის მოქმედება.—ქართული სკოლა და ეკლესია.—ქართულ სახალხო წარმოდგენების მოწყობა.—წარმოდგენა სცენის მოყვარეთა მონაწილეობით.

ჩვენს მწერლობაში შემოღებულ ჩვეულებისამებრ, უფრო ხშირად ტფილისისა და ქუთაისის ბუნება-მდებარეობას იგონებენ აღტაცებით და კავკავისთანა ქალაქები კი რაღაც ცხრა მთას იქით მიკარგულ ადგილად მიაჩნიათ, მაშინ როდესაც საუცხოო, ლამაზი და ბუნების სიმდიდრით უხვად დაჯილდოებული ქალაქი კავკავი ერთ საუკეთესო საცხოვრებელ ქალაქად უნდა ითვლებოდეს მთელს კავკასიაში.

ჩვენებურ ინტელიგენტს რომ ჰკითხო, რუსეთის მივარდნილ სამაზრო ქალაქში ცხოვრება ურჩევნია, თუ კავკავისთანა ქალაქში ბინადრობა, უსათუოდ გეტყვის: „თუ ტფილისში ან ქუთაისში არ ვიქნები, ისევ რუსეთშ ვიცხოვრო, მირჩევნიაო“. ასეთ პასუხს გაიგონებთ უფრო ახლად გამოჩეკილ ჩვენებურ „დიპლომიანისაგან“. ამნაირ აზრის მეოხებით, დღითი-დღე ემატება ქუთაისის სასეირნო ბაღს მუდმივ მუქთ მოტრაბახეთა გუნდი, ცხოვრება კი ამ „იმედთა და იდეალთა სასაფლაოში“ არა თუ უმჯობესდება, კიდევაც უარესდება, ფუჭდება. მართლა და საფიქრებელი მოვლენაა ეს: ამბობენ, საზოგადოების ცხოვრება მით უფრო უკეთესია, რაც უფრო მეტი განათლებული წევრი ჰყავს იმასაო, ჩვენში კი ეს ჭეშმარიტება არა მართლდება. წინააღმდეგ: რაც უფრო მეტია რომელსამე ჩვენ ქალაქში უმაღლეს სწავლა-განათლებით აღჭურვილი, მით უფრო არევ-დარეულია ყოველივე საზოგადო საქმე, მით კერძო და საერთო ცხოვრება უფრო შევიწროებულია, დაბეჩავებული. ჩემის აზრით, მიზეზი ეს არის: ჩვენებური „დიპლომიანი“ უმაღლეს სასწავლებელში ჩვენის ცხოვრებისათვის საჭირო, სასარგებლო ცოდნას ძლიერ ცოტას იძენს. იმისი ცოდნა, მეცნიერების ავლა-დიდება მხოლოდ მოხელეობის თანამდებობის ასასრულებლად გამოდგება. მიუხედავად ამისა, ჩვენი „დიპლომიანნი“ ცხოვრებაში დიდის რიხითა და გაზვიადებულის თავმოყვარეობით გამოდიან: უბრალო თანამდებობა, საძმო მუშაობა, თავშესაწუხებელი მეცადინეობა რომელიმე საზოგადო საქმისათვის სხვისის მეთაურობით და განკარგულებით იმათ „არ დაშვენდებათ, არ ეკადრებათ“. „როგორ, მე პეტრიას ან სამსონას ბრძანებლობის ქვეშ უნდა ვიყო“-ო?! ხშირად გაიგონებთ ზიზღის კილოთი პასუხს ქუთაისელ ინტელიგენტისაგან რომელსამე საზოგადო საქმეში მონაწილეობის მიღების შესახებ. ასეთი მეტიჩარობა აბრკოლებს, ჰღუპავს ყოველსავე ჩვენებურ საქმეს.

ამისთანა ქალაქების რიცხვს არ ეკუთვნის კავკავი; აქ არა სჩანს ის შური, მეტოქეობა, მედიდური და გაბრაზებული განწყობილება ინტელლიგენტთა წრეში, რომელიც ჩვეულებრივი მოვლენაა დასავლეთ საქართველოს ქალაქებში. აქ ყველას: დიდს, თუ პატარას, გარემოებით დაწინაურებულს, თუ სრულიად მივიწყებულ, უმნიშვნელო ჩვენებურს მამულიშვილს ერთი სურვილი და აზრი აკავშირებს—შეძლებისა დაგვარად საერთო ქართულ საქმისათვის რამე სარგებლობის მოტანა. ეს პატიოსანი მისწრაფება შეუმჩნევლად პირად ცხოვრებასაც შნოსა და სახალისო ელფერს აძლევს.

საუკეთესო ნაწარმოებ-ნამოქმედარად კავკაველ ქართველებისა ითვლება აქაური ქართული სკოლა. ქალაქის შუაგულ ადგილზე შეუძენია აქაურ ქართველობას 5 ქცევაზე მეტი მიწა, აუგია საკმაოდ დიდი და შესაფერად მოწყობილი შენობა სკოლისათვის, გაუშენებია ხეხილის ბაღი, დაუარსებია სამუდამო საქმე, რომელსაც ყოველი კავკაველი ქართველი რაღაც სასოებით, უნებლიეთის სიყვარულით ეპყრობა. რაც უნდა სხვა-დასხვა ბანაკს ეკუთვნოდნენ აქაური ქართველნი, სკოლის არსებით საჭიროება-მოთხოვნილების შესახებ განურჩევლად წოდებისა, ყველანი შეთანხმებულნი არიან. აქაურ სკოლასთან შეერთებული ქართული ეკლესია და ქართველი მღვდელი აერთებს, აკავშირებს ყველა წრის ქართველს. დიდად საყურადღებოდ მიმაჩნია იმ გარემოების მოხსენება, რომ აქაურ მღვდელს ძალიან კარგი გავლენა მოუპოვებია. იგი ყველას ღირს საპატიო, დარბაისელ პირად ითვლება, იმის რჩევასა და სიტყვას ქართველთათვის დიდი

ჩიონ. სტაროსტა ქარხნის გამგეობის წინაშე მუშების რწმუნებულად ითვლება. სტაროსტებმა უნდა აცნობონ ქარხნის გამგეობასა და ინსპექციას საჭიროებანი და ყოფა-მდგომარეობა მუშებისა. ამავე სტაროსტების პირით გადაეცემათ მუშებს განკარგულებანი. საქმეების განსახილველად სტაროსტებს უფლება ეძლევათ შეჰკრიბონ ხოლმე მუშები. წესიერებას თვალ-ყური სტაროსტამ უნდა ადევნოს. თუ საქმე ყველა დარგის მუშებს ეხება, უნდა შეიკრიბნენ მოსალაპარაკებლად სტაროსტები. ქარხნის გამგეობამ უნდა შეადგინოს წესები სტაროსტების შესახებ. ამ წესებში აღნიშნული იქნება რაოდენობა მუშათა ჯგუფებისა ქარხნებში, რიგი სტაროსტას არჩევისა, ხმის მოკრების წესი, წლოვანობა კანდიდატებისა, სამუშაო დროს რაოდენობა და სხვა. ეს წესები გუბერნატორმა უნდა დაამტკიცოს და გაიკრას ქარხანაში. გუბერნატორს შეუძლიან სტაროსტა ვადამდე გადააყენოს.

✦ ნოვგოროდის საგუბერნიო ერობამ კარგა ხანია შუამდგომლობა აღძრა პეტერბურგის ქალთა სამკურნალო ინსტიტუტის გაფართოვებისა, ახალ ინსტიტუტების დაარსებისა და სამკურნალო ფაკულტეტებზე ქალების მიღების შესახებ. ამ შუამდგომლობის გამო ერობამ ეხლა მიიღო პასუხი. უკვე არსებულ ინსტიტუტის გაფართოვება და მეტის მიღება სამინისტროს შეუძლებლად მიაჩნია, რადგან შენობა მეტს აღარ დაიტევს. ახალ ინსტიტუტების დაარსებას დიდ-ძალი ფული მოუნდება. რაც შეეხება სამკურნალო ფაკულტეტებზე ქალების მიღებას, ეს საკითხი უკვე განუხილავს უმაღლეს სასწავლებლების გამო შემდგარ კომისიას და გადასწყდება საბოლოოდ უნივერსიტეტის ახალ წესდების შედგენის დროს.

✦ როგორც წინადაც ვწერდით, სამაზრო-საპოლიციო დარაჯს შიდა რუსეთის თითქმის ყველა გუბერნიაში შემოიღებენ. ამა წლის 5 მაისის კანონით დარაჯი უნდა დაწესდეს 46 გუბერნიაში. დარაჯი ცხენოსანი და ქვეითი იქნება. დარაჯთა რიცხვი დამოკიდებულია მცხოვრებთა რიცხვის რაოდენობაზე: 2,500 სულზე თითო დარაჯი უნდა იყოს. 1903—1904 წელს დარაჯს შემოიღებენ შემდეგს გუბერნიებში: ვილნოსა, ვორონეჟისა, ვიატკისა, ეკატერინოსლავისა, კიევისა, კურსკისა, ნიჟეგოროდისა, ორლოვისა, პენზისა, პოლტავისა, სარატოვისა, ტამბოვისა, ხარკოვისა, ხერსონისა და ჩერნიგოვისა. დანარჩენ გუბერნიებში დარაჯს 1905—1908 წლ. შემოიღებენ. ამ რიგად დარაჯის შემოღებით ჩნდება კარგა მრავალ რიცხოვანი საპოლიციო ჯარი. ამ საპოლიციო ჯარის შესანახად ყოველ წელიწადს ხაზინამ უნდა გაიღოს 10,317,710 მანეთი.

✦ ფინლიანდიაში დღემდე ხშირად იმართებოდა სამღვდელოების წარმომადგენელთა კრებები. ნებართვას არავისგან იღებდნენ. ხელმწიფე იმპერატორმა 26 ივნისს ბრძანა, რომ ასეთ კრებებისათვის ნებართვა გენერალ-გუბერნატორისაგან აიღონ ხოლმე.

✦ ხელმწიფე იმპერატორმა უყურადღებოდ დასტოვა შუამდგომლობა დათხოვნილ მოხელის, გუბერნატორად ნამყოფის ფინლიანდელის მუნკისა, რომელიც პენსიასა თხოულობდა.

✦ ფინლიანდიურ გაზეთს „არბეტარენ“-ს პირველი გაფრთხილება გამოეცხადა ერთის წერილის გამო. წერილს სათაურად აწერია: „ამერიკის ესკადრა კილში იყო“.

✦ ქალთა უმაღლესს სამკურნალო კურსებზე შესასვლელად, როგორც ვუწყით, საჭიროა დამატებითი ეგზამენი ლათინურ ენაში. ამ ეგზამენს იჭერენ ხოლმე სამოსწავლო წლის განმავლობაში 1 სექტემბრიდან 1 მაისამდე. ბევრი ვერ ასწრებს ამ ხნის განმავლობაში ეგზამენის დაჭერას. ეხლა ამათ შუამდგომლობა აღუძრავთ ეგზამენის დროს შეცვლის შესახებ. მინისტრმა ნება დართო, ეგზამენი მსურველთ აგვისტოს მეორე ნახევარს დაიჭირონ ხოლმე.

✦ საერო განათლების სამინისტრომ განმარტა, რომ ლაბორანტად უნივერსიტეტის კათედრებთან შეიძლება ისეთებიც დაინიშნენ, რომელთაც უმაღლესი განათლება არ მიუღიათ, მაგრამ სამეცნიერო თხზულებები-კი აქვთ.

✦ კაშინევში დაზარალებულ ებრაელთა დამხმარებელმა კომიტეტმა მოქმედების პირველ თვეს შეაგროვა 736,476 მანეთი. აქედან 192,443 მან. ამერიკიდან მიიღო, 16,001 მან.—ინგლისიდან, 10,475 მან. ავსტრიიდან, 5000 მან.—იტალიიდან, 1000 მან.—ჰოლანდიიდან, 35,675 მან.—გერმანიიდან, 9,248 მან.—საფრანგეთიდან; დანარჩენი რუსეთში შეიკრიბა. კომიტეტმა ჯერჯერობით დახარჯა 464,462 მან. აქედან 50,000 მანეთი მოანდომა ებრაელთა 50 ოჯახის პალესტინაში გადასახლებას. კიშინეველ ებრაელთა ზარალი კომიტეტმა იანგარიშა 2,332,890 მან. გაძარცული აღმოჩნდა 700 ოჯახის სადგომი, 600 დუქანი; მოკლული—47 კაცი, მძიმედ დაჭრილი—92 კაცი., მსუბუქად—345 კ., სამუდამოდ დასახიჩრდა—50 კ., დაქვრივდა—35 ქალი და დაობლდა 123 ბავშვი.

✦ მომავალ წლის იანვრიდან ყველა რკინის გზაზე არსდება განსაკუთრებული კურსები ხელოსანთა შეგირდებისთვის. მიიღებენ წერა-კითხვის მცოდნეებს და 11—18 წლისებს.

✦ მთავრობას შეუდგენია კანონ-პროექტი იმ მოსამსახურეთა დაჯილდოვების შესახებ, რომელნიც რაიმე მიზეზის გამო დაშავდებიან.

✦ პროფესორის მარტენსის მაგიერ, რომელმაც სამსახურს თავი დაანება, საერთაშორისო უფლების კათედრის პროფესორად პეტერბურგის უნივერსიტეტში დაინიშნა საერთაშორისო უფლების დოქტორი ბარონი ტაუბე.

პრესსა

„ბირჟ. ვედ.“-ს მე-322 ნომერში დაბეჭდილია ნ. ა. ნ.—დ.—ს წერილი მეტად უცნაურის სათაურით: „საქართველოს დაცემა“. ავტორი თავში იხსენიებს მაქსიმ გორკის ერთ პატარა მოთხრობის გმირს თავად შაქროს და ამბობს, აი, ამ შაქროსავით დაეცნენ ქართველებიო. თავადი შაქრო, გორკის აღწერით, მკვეხარა, ქვეშძრომი, მშიშარა, თავხედი, ვერაგი და ჭკუა ნაკლები კაცია. წერილის ავტორის სიტყვით, ყველა ქართველი, თავადი თუ გლეხი, მუშა თუ ხელოსანი, ამ შაქროსთანა კაცია. რაღა თქმა უნდა, ეს აზრი შემცდარია. თვით შაქრო ტიპი კი არა, კარიკატურაა. ავტორი მართალია, როდესაც ამბობს, რომ თავად-აზნაურობა დაქვეითდა და გათახსირდაო; მაგრამ ჯერ ერთი: ძნელია იმის თქმა, რომ მთელი თავად-აზნაურობა გათახსირდა, მეორე,—განა ერი მარტო თავად-აზნაურთაგან შესდგება? ავტორს ჰგონია, თავად-აზნაურობის დაცემასთან ერთად მთელი ერი ეცემაო. რა თქმა უნდა, ასეთი აზრი შეუწყნარებელია. ამ ჟამად წინაამდეგსა ვხედავთ: დაცემისა და დაქვეითების ნაცვლად, დღეს ჩვენი დაბალი ხალხი დიდ ცხოველ-მყოფელობას, ნიჭსა და უნარს იჩენს.

რაც შეეხება ავტორის ზოგიერთ მოსაზრებას ჩვენის მხრის მოუწყობლობის შესახებ, არ შეგვიძლიან არ დავეთანხმოთ. მოუწყობელია, მაგალითად, მიწათ-მფლობელობისა, ხიზნებისა, დროებით ვალდებულ გლეხთა საქმეები და სხვა. მართალ აზრს ამბობს ავტორი დიდ მემამულეთა შესახებაც, რომელნიც თავიანთ მიწა-ადგილს სასტიკის ზომებითა და მათრახებით უვლიან და ჰპატრონობენ.

⁂

რუსეთშიაც გაჩნდნენ ინჟენერი ქალები. სევასტოპოლსა და იალტას შუა ამ ჟამად ელექტრონის რკინის გზა გაჰყავთ. იქაურ ინჟენერებში ერთი ქალიც ურევია, თურმე. გაზ. „რ. ლ.“ სწერს:

„იალტის რკინის გზაზე ყველას ყურადღებას იზიდავს ინჟენერი... ქ-ნი კონევსკისა. პირველად ინჟენერ ქალზე ყველგან დაცინვით ლაპარაკობდნენ, თურმე.

— ჰა, როგორა ბრძანდება ქ-ნი ინჟენერი?

— რაღა თქმა უნდა, საქმროს დაეძებს გაგიჟებული, არა?

სამის დღის შემდეგ:

— კონევსკისა როგორაა?

— დღეს ვხედავთ კაცური შალვარი და ყელიანი წაღები ჩაუცვამს და მობძანდება. ესე სჯობია, მუშაობას აღარ დამიშლის ტანისამოსიო.

— ხა! ხა! ხა!

რამდენისამე ხნის შემდეგ ასეთი ლაპარაკი ისმის:

— კონევსკისა... ბევრს გაცინებთ, ჰა?

— ჰმ... არა ჯერ ბაიდარაზე მოშაობს.

— სასაცილოა სწორედ!

ცოტა ხნის შემდეგ:

— მერე, ვერა გააშავშავა რა, რასაკვირველია, არა?

— ქ-ნმა კონევსკისამ? წარმოიდგინეთ, ყმაწვილებო, მშვენივრად შესრულა თავისი საქმე! სწავლაც კარგი ჰქონია და გამოცდილებაც. იმისაგან ბევრს ისწავლის კაცი.

— მართლა?

ინჟენერებმა პირები დააღეს. ასე ისახელა თავი რუსეთში პირველმა ინჟენერმა—ქალმა კონევსკისამ“.

წერილი რაჭიდან

გუბერნატორის მოსვლა რაჭაში.—ვენახების წახდენა.—კლდის-უბნელების გაჭირვება.

17 ივნისს მოვიდა რაჭაში გუბერნატორი სმაგინი. თან ახლდა რაჭის მაზრის უფროსი, თავ. დეონიძე, თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. დიმიტრი ყაფიანი, გუბერნატორის კანცელარიის მმართველი და სხვა. გუბერნატორს ყოველ სოფელში ჰხვდებოდა ხალხი. ყველა სოფელმა თავისი საჭიროება აუწყა. სხვათა შორის, საყურადღებო თხოვნა მიართვეს სოფ. ამბროლაურში. სთხოვეს ის, რაც მთელი რაჭისთვის არის საჭირო. სთხოვეს საიმედო გზის გაყვანა ნაქერალა მთისკენ ტყიბულის რკინის გზამდე და მდინარე კრიხულაზე ხიდის გადება. ეს ორი თხოვნა დიდად საინტერესოა მთელი რაჭისთვის, მით უმეტეს, რომ რაჭველ კაცს მიწის სივიწროვის გამო ვერ აკმაყოფილებს რაჭაში მოსული ჭირნახული, ამიტომ იძულებულია ყოველ წელს იმერეთიდან ჰზიდოს სარჩო.

ხშირად ტყიბულში მიმავალი მგზავრი ერთი კვირა უნდა დარჩეს გზაში, ცუდის გზების მიზეზით. სახიფათოა მდ. კრიხულაც, ამ მდინარეს ვერას გზით ვერ ასცდება ტყიბულისაკენ მიმავალი მგზავრი. წელიწადში არ გავა ისე, სამ-ოთხი კაცი არ დაახრჩოს ამ შეჩვენებულმა მდინარემ. გუბერნატორი შეჰპირდა ხალხს, უსათუოდ გვიშუამდგომლებ მთავრობის წინაშე ორისავე სათხოვარის დასაკმაყოფილებლად.

რაჭველებმა კარგა ხანია, რაც შეიგნეს ვენახების წამლობის საჭიროება, ამიტომ რაც უნდა ღარიბი გლეხი იყოს, არა სტოვებს ვენახს უწამლოდ. წელს არ დარჩენილა რაჭაში არც ერთი ვენახი უწამლოდ, მაგრამ, საუბედუროდ, ვერც შაბიამნის მოსხურებამ უშველა ვენახებს. გაზაფხულზე სწორედ სასიამოვნო სანახავი იყო აქაური ვენახები. ამის შემყურე მუშა დაიმედებული იყო ღვინის მოსავალზე. მაგრამ მეორედ ნაწამლი ვენახები სულ მთლად მოისპო. მტევნებს ბიბილები სცვივა და ვაზზე ცარიელი ფოთლები და ჭიგოა. ყოველ მხრიდან საშინელი წუხილი და გოდება ისმის ხალხისა. გაიძახიან, ე შაბიამნის ფასი მაინც არ დაგვეკარგებოდეს ტყუილადაო. აქაური ხალხი ღვინის ნაფასურით ისტუმრებს სახელმწიფო და სხვა გადასახადს, ღვინის ნაფასურითვე ჰყიდულობს ჭირნახულს.

„ცნობის ფურცლის“ მკითხველს კარგად მოეხსენება, რა უბედურება დაატყდა კლდის-უბანს მეწყერისაგან. ხალხი ელოდა შველას, ეგონა, სხვა სოფლებიდან გამოიყვანენ მუშებს და გააკეთებენ გზებსაო, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. დღესაც უგზოობით მთელი სოფელი შეკრულია. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, წისქვილზე ვეღარ წასულან და შიმშილით ლამის არის სული ამოსძვრეთ. როდესაც წინად სოფელი წესი დაიქცა მეწყერისაგან, სხვა სოფლებიდან გამოიყვანეს ხალხი მათდა საშველად და საცხოვრებლად, რატომ ეხლა კლდის-უბანს არ შეეშველნენ?

განო ჭიჭინაძე

დაბა-სოფლები

ხვირი (იმერეთი). ჩვენსკენ შესანიშნავი ამინდებია. მიწა თავ-თავის დროზე ირწყვება წვიმით. სიმინდებს ძლიერ კარგი პირი უჩანს და ვენახს ხომ ქება აღარ უნდა, ისე კარგად ასხია. ნაცრისა და სხვა სენისა არა ეტყობა-რა. აბრეშუმის პარკის ფასის აწევამ ჩვენი მეაბრეშუმენი ძლიერ შეაწუხა. სწუხდნენ და სტიროდნენ, რად დავკარგეთ ამნაირი საქმე, რომ აბრეშუმის თესლი ვერ გამოვზარდეთ. მაგრამ ეს ხომ თავიანთი ბრალია. წრეულს ჩვენში ოცი კოლოფი თესლი თუ იქმნებოდა, და ისიც მამასახლისის ნაყიდი, თითოეულ სამ-მანეთიან კოლოფში მისცეს ხუთ მანეთამდის და შემდეგ-კი მეტსაც მისცემდნენ, რომ ეშოვნათ. შარშან ათას კოლოფზე მეტი გაიყიდა ჩვენს სოფელში და ისიც ზოგი აბაზად და ზოგი სულ ტყუილად წაიღეს. რადგან გამოსულმა თესლმა პატრონი შეაწუხა, გადაყრა დაენანა და ბოლოს სულ მუქთად დაურიგა ხალხს, მაგრამ რა გამოვიდა, მადლობაც არ მიუღიათ.

შორაპნის მაზრაში ვიღაცა არა-მკითხე ექიმი ყოფილა, ამბობენ, რომ ცოფიან ძაღლის მიერ დაკბენილს არჩენო. მართლაც, წარსულ თვეს ცოფიანმა ძაღლმა დაკბინა გიორგი მაჩიტიძის ცამეტის წლის ვაჟი. ეს ვაჟი მიუყვანიათ ამ ექიმთან, რომელიც დაჰპირებია ორმოც დღეში განთავისუფლებას და მართლაც განათავისუფლა: ორმოც-და-ათის დღის შემდეგ ბავშვი გაცოფიანდა, წკმუოდა, პირიდან დორბლს ჰყრიდა, იტანჯა დილიდან საღამომდის და საღამოს წუთისოფელს გამოეთხოვა.

იუსტინე.

ს. გეზათი (იმერეთი). ჩვენი სოფელი ნამდვილად წყალ-წაღებულია. გაშენებულია ეს სოფელი მდინარე ცხენის-წყლის მარჯვენა ნაპირზედ, ხოლო ცხენის-წყალი შეუბრალებლად არღვევს მარჯვენა ნაპირს და მიისწრაფის დასავლეთისაკენ, საითაც ცხვრის ფარასავით მიერეკება სოფლელთ. წყალს ყოველგან შეუძლიან კალაპოტი გაიჭრას და ბინა იშოვოს, ხოლო სოფლელთ კი არა აქვთ უფლება სხვათა ადგილ-მამულებში გადასახლებისა. თანდათან ეცლებით ფეხქვეშიდან მშვენიერი ნიადაგი და რჩებიან გაროყულნი. პატრონი რომ გვყავდეს, ამაზე უფრო ძლიერს მდინარესაც აბრუნებინებდა პირს. მერე ჩვენი უბედურება ის არის, რომ მოსაზღვრედ გვყავან მეგრელები, მცხოვრებნი აბაშის საბოქაულოსი, აი, ამათ სოფლისათვის არავინ ზრუნავს. არვინ ეძებს გზების კეთებას, არც გაღმა მდინარე ნოღელის გამაგრებას; არც ადამის წლის ხიდ-ბოგირების განახლებას, არა თუ ახალის გაკეთებას. უმახლობლესი ჩვენი საშველი ადგილი აბაშაა, იქ სცხოვრობს ბოქაული და, თუ ყოველ-

მნიშვნელობა აქვს. კავკაველი ქართველობა ყოველ საერთო საქმეს, სკოლის მეთაურების მიერ დაწყებულს, დიდის თანაგრძნობითა და სიყვარულით ეპყრობა. ყოველ წევრს შეძლებისადაგვარად წვლილი მიაქვს სკოლისთვის დაუზარებლად, უჭინჭყლოთ, უდავიდარაბოთ.

ამ ბოლოს დროს სკოლის გამგე-კომიტეტის წევრებმა მოიწვიეს საზოგადოება სკოლის ნივთიერ საშუალების მოპოვებისათვის მოსალაპარაკებლად. მცირედის ბჭობის შემდეგ, კრებამ გადასწყვიტა სკოლის სასარგებლოდ წარმოდგენები და სეირნობა მოაწყოს. იმავე კრებამ სასურველად სცნო წარმოდგენები გამართოს დრო-გამოშვებით, თვეში ერთხელ მაინც, განსაკუთრებით მდაბიო ხალხისათვის. პირველი წარმოდგენა გაიმართა 29 ივნისს. წარმოადგინეს: „გაცრუებული იმედი“ აზიანისა და ა. ცაგარლის ვოდევილი „ჭკუისა მჭირს“. მონაწილეობას იღებდნენ მასწავლებელნი ქართულ სკოლისა და სცენის-მოყვარენი ადგილობრივ ინტელიგენტთაგან. კარგად და მწყობრად ჩაატარეს კნ. ხიმშიაშვილისამ ცქრიალა, მოტრფიალე და მოტიკტიკე ლიზას როლი. ო. დ. ყაზბეგისამ ზარალოვის ქალის სონას როლი, ა. მ. ბურდულისამ—კეკელასი და ე. უ. ანდრონიკაშვილისამ—ნინოს როლი. ამ უკანასკნელმა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია საზოგადოებისა გამოცდილ თამაშობით. ვაჟ კაცებში კარგად თამაშობდნენ: ნ. დ. ყაზბეგი—მაზუთიანს, ავალიშვილი, ტუტურაშვილი, ცინცაძე, ტახელიძე და სხვ. სასურველია, რომ ქართულ დრამატიულ დასის წარმომადგენელნი, გამოცდილნი და ცნობილნი მსახიობნი, დრო-გამოშვებით მოდიოდნენ ასეთ ქალაქებში, როგორც კავკავია, და აქ ადგილობრივ სცენის მოყვარეთა დახმარებით რამდენსამე წარმოდგენას ჰმართავდნენ. ადგილობრივ სცენის მოყვარეთა შორის ძლიერ კარგი, ნიჭიერი და ჩვენის სცენისათვის გამოსადეგი მსახიობი შეიძლება გამოჩნდეს. საზოგადოდ, საჭიროა და სავალდებულოც ჩვენთვის მანძილით დაშორებულ ქართველთა ჯგუფს მეტი ყურადღება, თანაგრძნობა და თანამშრომლობა გაუწიოთ.

მოხეტიალე

თვის არა, ხან-და-ხან მაინც, ექიმი. არა თუ თვალს გარეშე და ზურგს უკან, თვით აბაშაში, თვალისა და ცხვირის წინ, დიდი ხანია არ შეკეთებულა გზები. ოც-ნაბიჯზე რომ ექიმის წაყვანა დაგჭირდეთ, მეეტლეები ორ-წილსა და სამ-წილ ქირას გთხოვენ გაფუჭებული გზების მიზეზით. მდინარე ნოდელაზე, საითაც აბაშისაკენ დადის ხალხი, დარჩენილია ძველი, დანგრეული ბოგირები. ძველად ამ გზაზედ ეტლებიც-კი ადვილად დასრიალობდნენ. ეხლა, ვისაც ამ გზაზე გავლა ესურვება, ჯერ უნდა თავი იზიაროს. ძველ ბოგირების ნანგრევები არქეოლოგიურ ნაშთს წარმოადგენენ. გზის გაკეთებას არც სოფლელნი, მეგრელნი, სცდილობენ და არც ადმინისტრაცია.

ჩვენში ნათესებს კარგი პირი უჩანს, თუმცა საზოგადოდ ნაგვიანევია. ზოგი ჯერ მარგლას ვერ მორჩა და ზოგმა მორთვლაც იწყო. ზოგი სულ უყანოთ დარჩა სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო და თუ წელს არა, გაისათ აუცილებლად შიმშილი მოელით.

გიგიბერია

—

ყვირილა (იმერეთი). ჩვენის დაბის დეპუტატებმა ეხლა-ხან დაბეჭდეს დაბის 1902 წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში 1 ივლისიდან 31 დეკემბრამდე. ამ ანგარიშიდანა სჩანს, რომ ექვსის თვის ხარჯების დასაფარავად უნდა გაწერილიყო 1160 მან. გაუწერიათ კი 1165 მ. 70 კ. 228 კაცზე. ამ ფულიდან უფრო დახარჯულა განათებაზე და ქუჩების გასუფთავებაზე (516 მ. 15 კ.) დალოცვილებს, ამოდენა ფული დაუხარჯავთ, მაგრამ ქუჩა-მოედანი ისევ სიბინძურის მორევში სცურავს. ამ ფულით შეიძლებოდა ქუჩების ყოველ დღე დაწმენდა. ამოდენი ხანი უწინდელის დეპუტატების ანგარიში საიდუმლოებით იყო მოცული და ეხლა ესეც დიდი ღვთის წყალობაა ჩვენთვის, რომ ეხლანდელი დეპუტატები ანგარიშს ცხრა კლიტულში არ ინახავენ, ჰბეჭდავენ და ყველას აცნობებენ.

საქალაქო სკოლის გახსნისათანავე მშობლებმა ითხოვეს, ამ სკოლასთან მოსამზადებელი კლასებიც გაეხსნათ. მზრუნველისაგან ნება-რთვა შემოდგომისვე მიიღეს ინსპექტორის სახელზე, მაგრამ, როგორცა სჩანს, მგონი, არც წრეულს გაიხსნება ეს მოსამზადებელი კლასები. აპრილში ინსპექტორმა ურილობა მოახდინა ამის თაობაზე განაჩენის დასადგენად და ის იყო ყველა თანხმდებოდა განაჩენის დადგენას, რომ რამდენისამე პირმა ურჩია ხალხს არ დათანხმებულიყვნენ, რადგან ხარჯის მეტს არას შეგმატებთო. თუმცა კრება განაჩენის დასადგენად კიდევ გადიდვა, მაგრამ ჯერ არაფერი ისმის. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ დიდს გადასახადს, რომელსაც აქ დაბაში მოსამზადებელ სკოლებში ახდევინებენ, მოსამზადებელ კლასების დაარსება დიდს შეღავათს მისცემს ყველას და გამოიხსნის აურებელ ხარჯისაგან.

საყუდიელი

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

7 ივლისი.

ვიატკა. მასწავლებელთა და ყოფილ მასწავლებელთა დამხმარებელ საზოგადოებას ამ საზოგადოების თავმჯდომარემ ბულიჩევისამ შესწირა 10,000 მ. მასწავლებელთათვის სახლის სასყიდლად.

მინსკი. ნიაღვარმა ბევრი ქუჩა დაჰფარა.

ნიჟნი-ნოვგოროდი. ნიჟეგოროდისა, ბალახნისა, გორბატოვისა და სემენოვის მაზრებში შემოიღეს გაძლიერებულ დაცვის წესები 17 ივლისიდან 10 სექტემბრამდის.

რომი. პაპმა ღამე უძილოდ გაატარა. დილის 10 საათზე დიდი პენიტენციარი სასწრაფოდ მოიწვიეს ვატიკანში, სადაც ზედი-ზედ მოდიან კარდინალები. ამბობენ, პაპის მდგომარეობა ეხლა ძალიან საშიშიაო. პაპი კვდება.

ვენა. იმპერატორმა გრაფ გოლუხოვსკის დროებით მიანდო საიმპერიო ფინანსთა სამინისტროს მართვა და ბოსნიის და ჰერცოგოვინის საქმეების გამგებლობა.

მადრიდი. მინისტრ-პრეზიდენტმა სილველამ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა, საფრანგეთს და ისპანიას სურთ მაროკკოში „სტატუს-ქვო“ დაიცვანო. მინისტრმა სთქვა, ისპანიას სჭირიან ზღვის და ხმელეთის დიდი სამხედრო ძალაო, და ისურვა, რომ ფრანგებთან, ამ მოძმე ხალხთან, ისევ ჩამოვარდეს მეგობრული განწყობილება. „იმპერსიალი“ ამ სიტყვას არჩევს და ამბობს, მინისტრის სიტყვიდან სჩანს, რომ საფრანგეთსა და ისპანიას შორის კავშირი ყოფილაო.

მინისტრთა საბჭომ განიხილა ზღვათა მინისტრის მოთხოვნანი. ამის შემდეგ სილველამ მეფეს მიართვა თხოვნა მთელის კაბინეტის სამსახურიდან გადადგომისა. მეფემ ვილლავერდე მოიწვია.

ბერლინი. „კელნ. ცაიტ.“-ის ცნობით, ნენადოვიჩი წავა პეტერბურგს, რომ ხელმწიფე იმპერატორს მეფე პეტრეს საკუთარ ხელით დაწერილი წერილი გადასცეს. ამ წერილში გამოთქმული იქნება მადლობა მეფის შვილების მიმართ კეთილად მოპყრობისათვის.

კონსტანტინოპოლი. როგორც ამბობენ, პორტა არწმუნებს, რომ მას განზრახვა არა აქვს განსაკუთრებულად თავი მოუყაროს ჯარებს ბოლგარიის საზღვარზე, მაგრამ მანამდე, ვიდრე რაზმების უწესოება დათრგუნვილი არ იქნება, საზღვრები დაცული უნდა იყოს.

რომი. ბიულეტენი საღამოს 6 საათზე: „პაპს თითქმის მთელ დღეს ეძინა. დონე უფრო მოაკლდა. სუნთქვა 30. მაჯა 96. ტემპერატურა 36. 4“.

პეტერბურგი. ჩაჰყარეს დიდის ახალ შენობის საძირკველი ჯვართ-ამაღლების კრებულის დათა საერთო სადგომისა. შენობისათვის გადადებულია 150,000 მანეთი.

ტირაჟი

1-ლ ივლისს პეტერბურგში სახელმწიფო ბანკმა მოახდინა ტირაჟი პირველ შინაგან მომგებიან სესხის (1864 წ.) ბილეთებისა. გაბათილებულ იქმნა შემდეგი ბილეთები:*)

00084	02727	05808	09034	12158	15383
00154	02739	05900	09098	12398	15445
00184	02925	05925	09183	12645	15662
00292	03072	05983	09185	12754	16098
00342	03106	06038	09208	12760	16121
00444	03156	06098	09253	12779	16344
00481	03259	06113	09271	12889	16464
00507	03318	06127	09354	12932	16525
00539	03357	06204	09447	13013	17026
00576	03389	06245	09511	13015	17178
00608	03607	06271	09703	13141	17203
00638	03613	06380	09736	13185	17205
00749	03633	06403	09759	13214	17228
00759	03841	06515	09843	13309	17375
00786	03932	06724	09926	13323	18033
00803	03967	03806	10024	13478	18093
00867	03989	06874	10027	13515	18239
00990	04011	06899	10099	13526	18479
01065	04075	07074	10177	13594	18506
01134	04112	07198	10257	13667	18520
01151	04229	07227	10340	13813	18560
01197	04343	07324	10515	13830	18586
01235	04358	07387	10587	14011	18732
01434	04438	07387	10630	14076	18796
01505	04447	07675	10727	14089	18814
01518	04489	07755	10767	14157	18882
01714	04542	07827	10932	14238	19014
01720	04642	07934	11045	14379	19022
01772	04643	08121	11053	14547	19172
01782	04749	08303	11164	14632	19193
01880	04834	08391	11244	14729	19235
01925	04984	08399	11328	14757	19373
01955	05091	08402	11340	14781	19385
02039	05106	08477	11420	14784	19466
02168	05271	08557	11624	14853	19477
02388	05329	08645	11700	14901	19673
02467	05340	08812	11707	14932	19803
02486	05475	08815	11825	14976	19829
02544	05567	08862	11903	15144	19843
02596	05676	08864	12018	15208	19940
02642	05694	08894	12079	15247	
02672	05759	08990	12087	15312.	

---

*) აქ აღნიშნულია №№ სერიებისა; ყოველი სერია შესდგება 50 ბილეთისაგან, 1-ლ ნომრიდან დაწყებული 51-მდე. სულ გაბათილებულ იქმნა 250 სერია, ესე იგი, 12.500 ბილეთი 1.687.500 მანეთისა.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

—

პეტერბურგის ბირჟა 4 ივლისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.	93,75
ბერლინზე 100 მარკაზე	—
პარიზზე 100 ფრანკზე	37,32½
ლონდონზე ჩეკები	94,40
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	—
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	98¾ გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	100¾ მყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა.	95⅛ „
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	443 1/2 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ ბილ. 1866 წ.	339 1/2 მყიდ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	290 გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5%-ანი ობლიგ. ბაქოს საკრედ. საზოგადოებისა	86 „
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	92⅜
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	193½ „

მიმოსვლა რკინის გზების მატარებლებისა

18 აპრილიდან

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9) ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 8 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.), 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერივანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს, 23 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 წ. 3). სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 03 წ. (2 ს. ' წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.) 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

შორაპანისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.).

განცხადებანი

—

კურსები

ბუღალტერიისა, საკომერციო არითმეტიკისა და სავაჭრო უფლებისა
ტფილისის საკომერციო სასწავლებელთან.
(წელიწადი მეოთხე).

სწავლა დაიწყება 2 ოქტომბერს. კურსი გაგრძელდება არა ნაკლებ 6 თვისა. სწავლა საღამოობით იქნება, სამჯერ კვირაში. კურსის მსმენელად შეუძლიანთ იყვნენ წერა-კითხვის მცოდნენი ორისავე სქესისა.

თხოვნები საკომერციო სასწავლებლის დირექტორის სახეზე მიიღება ყოველ დღე, დილის 10-დან ნაშუადღევის 2 საათამდე, სასწავლებლის კანცელარიაში (ჩუღურეთი, რიყის ქუჩა, საკუთ. სახ. № 11).

(10—1)

ახალი იაფ-ფასიანი წიგნები

ჟურნალ

„მოგზაურის“

რედაქციაში იყიდება შემდეგი იაფფასიანი წიგნები:

1. წერილი სოფლელ მუშას, ფასი 5 კაპ.
2. ყელ-ჭირვება ანუ დიფტერიტი, ფ. 5 კაპ.
3. მეცნიერების დედა-აზრი, ფ. 5 კ.
4. ძველი რწმენა-წარმოდგენები და მეცნიერება, ფასი 5 კაპ.
5. რა არის გონებითი გახსნა-განვითარება, ფასი 5 კაპ.
6. პურის ბოსტანი ანუ მოყვანა პურისა ჩინურ-იაპონიურის წესით, ფასი 7 კაპ.
7. ბავშვების გონიერი მოვლა ანუ რისგან სნეულდებიან და იხოცებიან ბავშვები უდროვოდ, ფასი 5 კაპ.
8. დანაშაულობა-დამნაშავენი და ახალი საბრძოლველი საშუალებანი, ფ. 5 კ.
9. მეურნეობა და ახალი სკოლა, ფასი 5 კაპ.
10. შინაური ფრინველების: ქათმების, ინდაურების, ბატების, იხვების და ხოხბების მოვლა-მოშენება, სურათებით, ფ. 15 კაპ.
11. რა არის დოსტაქრობა (ხირურგია) ანუ როგორ არჩენენ ექიმები დანით? ფ. 5 კ.
12. „მურია“, საყმაწვილო მოთხრობა, სურათებით, 5 კაპ.
13. თვით-მასწავლებელი რუსულის ენისა ქართულის ენის შემწეობით, სურათებით, ფ. 20 კაპ,
14. სულით ავადმყოფი მოსწავლენი, ფ. 5.
15. ხეხილის გამრავლება და მოვლა, სურათებით, ფასი 7 კაპ.
16. მეფე ლამზა, საყმაწვილო და მოზრდილთათვის მოთხრობა, სურათებით, ფ. 7 კაპ.
17. საუნჯე ავადმყოფისა ანუ აღწერა და წამლობა ყოველ-გვარ ავადმყოფობათა, ფ. 15 კაპ.
18. საუნჯე მეურნისა ანუ აღწერა, მოვლა და გამრავლება-გამოყენება ყოველ-გვარ ხეხილისა, ბუჩქებისა და უბრალო ხეებისა, ფ. 15 კაპ.
19. მთვრალობა და მის წინააღმდეგ საბრძოლველი საშუალებანი, ფ. 5 კაპ.
20. ცხვრის ყვავილი, ფ. 5 კ.
21. ქვეყნიერების მასალა ანუ მატერიის ქიმიური რაობა, ფ. 7 კაპ.
22. ქართული სახალხო სამეცნიერო წიგნები, ფ. 5 კაპ.
23. გმირი როლანდი, მოთხრობა მოზრდილთათვის, ფ. 10 კაპ.
24. დროა გონს მოვიდეთ! ლოთობის წინააღმდეგ, ფ. 10 კაპ.
25. მეთევზის შვილი, სურათებით, საყმაწვილო ზღაპარი, ფ. 10 კ.
26. ხტუნია-ციყვუნია, სურათებით, საყმაწვილო წიგნი. ფ. 10 კ.
27. ლინჰარდი და გერტრუდა, პედაგოგიური მოთხრობა პესტალოცისა, ფ. 10 კაპ.
28, ცივილიზაციის ისტორია ინგლისში, ბოკლისა, ფ. 40 კაპ.
29. შიო-თავადი, ლეგენდა ლექსად, ფ. 10 კ.
30. როგორ ცხოვრობენ ჩინელები, ფ. 10 კ.
31. ცხენის წურბელა, მოთხრობა, ფ. 10 კ.
32. მაჰმადი და მისი ცხოვრება-მოქმედება, სურათებით, ფ. 10 კაპ.
33. დარვინიზმი, პირველი და მეორე წიგნი, ფ. 20 კაპ.
34. სიფრთხილეს თავი არ სტკივა ანუ საქონლის ჭირის შესახებ, ფ. 5 კ.
35. აღზრდა შვილისა, თხზ. ბემესი, ფ. 15 კაპ.
36. ტყის გონიერი მოვლა-გაშენება, ფ. 10 კ.
37. ახალი წესი ვენახების გაშენებისა საქართველოში, სურათებით, ფ. 10 კ.
38. საქონლისათვის საკვებ ბალახების თესვა-მოყვანა, სურათებით, ფ. 20 კაპ.
39. სარკე გურულთა ცხოვრებისა, ფ. 5 კ.
40. ისტორია სწავლა-აღზრდისა, ფ. 5 კაპ.
41. ალბომი „ქართველთა ტომი“, ასი მეტი სურათით, 70 კაპ.
42. Новая народная школа и основы ея развитія и существованія, ფ. 5 კ.

ვინც ერთის მანეთისას ან მეტისას გაიწერს, გაგზავნის ხარჯს რედაქცია კისრულობს. მანეთზე ნაკლები ხვედრი ფული შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს და ფოსტის ხარჯათაც სამ-სამი კაპეიკი წამატოს თვითეულ დაბარებულ წიგნზე.

ადრესი: Тифлисъ, редакція «Могзаури» Ивану Павловичу Ростомашвили. **ტფილისში მცხოვრებთ ადგილობრივ წიგნთ-სავაჭროებშიაც შეიძლება იყიდონ.** (10—2)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის [illegible] პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—102)

საპედაგოგიო საბჭო ანასტასიას სახელობის

ქალთა პროგიმნაზიისა გორში

აცხადებს, რომ ამა წლის პირველ სექტემბრიდან არსდება ამ პროგიმნაზიაში მე-V კლასი. მისაღები ეგზამენები დანიშნულია 26 აგვისტოსთვის, ხოლო ხელ-ახალი ეგზამენები—27 და 28 აგვისტოსათვის.

თხოვნები უნდა გაიგზავნოს სასწავლებლის უფროსის სახელზე. თხოვნასთან უნდა იყოს მოწმობანი დაბადებისა და ყვავილის აცრისა. (3—უ.—3)

Дозв. ценз. Тифлисъ, 7 Іюля, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)